შენიშვნა: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2022 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით უცვლელი დარჩა ეთიკის კომისიის 2022 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე 097/18 (საქმე Nსსდ-01-22)

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ნაზიბროლა შაქარიშვილი

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 23.07.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 097/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნატო გოგმაჩაძის მიმართ /სიითი№5260/

საჩივრის ავტორის მოთხოვნა: ადვოკატ ნატო გოგმაჩაძისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 23 ივლისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ნაზიბროლა შაქარიშვილმა და მოითხოვა ადვოკატ ნატო გოგმაჩაძისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ნატო გოგმაჩაძე არის მისი ყოფილი მეუღლის, ირაკლი შაქარიშვილის ადვოკატი, განქორწინებისა და ქონების გაყოფის საქმეზე. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ 2016 წლის 25 აგვისტოს სასამართლოს გადაწყვეტილებით მეუღლესთან განქორწინდა, ხოლო ქონებრივი დავა დასრულდა მორიგებით.

1.3 სამოქალაქო დავების პარალელურად ირაკლი შაქარიშვილზე ასევე აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე ოჯახში ძალადობის ფაქტზე, სადაც ნაზიბროლა შაქარიშვილს ჰქონდა დაზარალებულის სტატუსი. ადვოკატმა ნატო გოგმაჩაძემ მას მიწერა, რომ ყოფილი მეუღლე იმ შემთხვევაში გადაუხდიდა ალიმენტს შვილებს, თუ საჩივრის ავტორი და მისი მოწმეები სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს მისცემდნენ ჩვენებას ირაკლი შაქარიშვილის სასარგებლოდ. ნაზიბროლა შაქარიშვილმა ამ შემოთავაზებას უარით უპასუხა.

1.4 საჩივრის ავტორსა და ადვოკატ ნატო გოგმაჩაძეს შორის ურთიერთობა დაიძაბა 2018 წლის მაისში, მას შემდეგ, რაც ადვოკატმა შესთავაზა ახალ მორიგების პირობებზე დათანხმება, რაც ნაზიბროლა შაქარიშვილისათვის არ იყო მისაღები. ადვოკატი ნატო გოგმაჩაძე დაუკავშირდა მას 2018 წლის 21 ივლისს, დააბრალა, რომ ბინას, რომელშიც მხოლოდ ცხოვრების უფლება ჰქონდა, აქირავებდა უკანონოდ და დაემუქრა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის გამოძახებით. ასევე უთხრა, რომ „მივიდოდა მასთან აღმასრულებელთან ერთად და მის სტუმრებს დააგორებდა კიბეზე“.

1.5 საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ ადვოკატ ნატო გოგმაჩაძის ზარები მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდა, რის გამოც აუხსნა, რომ იმ ზომამდე მიდიოდა, შეიძლებოდა თავის მოკვლა ეცადა. ნატო გოგმაჩაძემ მას უთხრა, რომ მისი ყოფილი მეუღლისაგან ჰქონდა გენერალური მინდობილობა, ამიტომ ნებისმიერ საკითხზე, როცა ნაზიბროლა შაქარიშვილი ყოფილ მეუღლესთან დაკავშირებას გადაწყვეტდა მისთვის უნდა მიემართა, რადგან კლიენტის ნაცვლად წყვეტდა ვისთვის რა გადაეხადა, მათ შორის ალიმენტი. საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ იყო შემთხვევები, როცა ადვოკატ ნატო გოგმაჩაძეს საკუთარი ინიციატივით უკავშირდებოდა, რათა დაეზუსტებინა თუ როდის ჩაურიცხავდნენ ალიმენტის თანხას, ასევე უკავშირდებოდა, როცა გარკვეული გარემოებების გამო ბავშვებისთვის თანხა სჭირდებოდა.

1.6 საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, მიუხედავად იმისა, რომ ის ადვოკატ ნატო გოგმაჩაძეს სთხოვდა შეეწყვიტა მასთან პირადად კომუნიკაცია და დაკავშირებოდა მის ადვოკატს თინა იმნაძეს, ნატო გოგმაჩაძე არ ითვალისწინებდა მის სურვილს და უკავშირდებოდა ხშირად, ღამის 2-3 საათზეც კი. საჩივრის ავტორის განმარტებით, ნატო გოგმაჩაძე ცდილობდა ნაზიბროლა შაქარიშვილს დამოუკიდებლად, ადვოკატის გარეშე მიეღო გადაწყვეტილებები, თავს არიდებდა ადვოკატთან თინა იმნაძესთან დაკავშირებას, მიზეზად კი ამბობდა, რომ ადვოკატი არ პასუხობდა მის სატელეფონო ზარებს, შეტყობინებებს, ელექტრონულ საფოსტო შეტყობინებებს, რაც იყო არასწორი ინფორმაცია.

1.7 2022 წლის 16 თებერვლის განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ ადვოკატის მასთან კომუნიკაცია იყო შეურაცხმყოფელი, ფსიქოლოგიური ძალადობის შემცველი. ადვოკატი მას წერდა ისეთი შინაარსის სმს შეტყობინებებს, რომ იძულებული ხდებოდა პასუხი გაეცა საკუთარი თავის დაცვისა და თავის მართლების მიზნით. ადვოკატი მას აყენებს შეურაცხყოფას იმ გარემოებითაც, რომ უთითებს, სხვადასხვა პიროვნებებზე, რომ არიან მისი „საყვარლები“. მისთვის, როგორც 3 მცირეწლოვანი ბავშვის დედისათვის, ეს არის უკიდურესად შეურაცხმყოფელი. ადვოკატი ცდებოდა საქმის ფარგლებს და მას აყენებდა პირად შეურაცხყოფას.

1.8 ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, ნაზიბროლა შაქარიშვილს არ შეეძლო ბინის გაქირავება და სტუმრის მიღება, თუმცა ეს განჩინება გააუქმა ქ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ. მიუხედავად ამისა, ადვოკატმა მის მიმართ პოლიციას მიმართა გაუქმებული განჩინების საფუძვლზე. ადვოკატმა უკვე გაუქმებული განჩინება წარადგინა აღსასრულებლადაც. შედეგად, მასთან გაფრთხილების გარეშე

მივიდნენ აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენელები ბინის შესამოწმებლად, მან წარუდგინა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება, და მცირეწლოვანი ბავშვების დედა გახდა იძულებული არაერთხელ მისულიყო პოლიციის განყოფილებებში.

1.9 მომჩივანი განმარტავს, რომ ის იმდენად იყო გამწარებული, გაწვალებული ადვოკატის მოქმედებით, ადვოკატის მუდმივი კონტაქტით, რომ მომართა ეთიკის კომისიას და ადვოკატი დაწყევლა. ამის შემდეგ ის ადვოკატმა დაბლოკა, ადვოკატი აღარ დაკავშირებია და ეხმიანებოდა მის წარმომადგენელს.

1.10 მომჩივანმა განმარტა, რომ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ განცხადებაში ადვოკატი მოიხსენია ტერმინით „ფსიქიკურად შერყეული", რაც არის შეურაცხმყოფელი, მაგრამ ეს გამოიყენა უკიდურესად გამწარებულმა, თავისი ცხოვრების რთულ პერიოდში.

1.11 მომჩივანი განმარტავს, რომ მას დღემდე არ აქვს წაშლილი მასსა და ადვოკატს შორის მიმოწერა, მან მოახდინა ამ ფაქტის კონსტატაცია. ეს კონკრეტული „Facebook Messenger" ეკუთვნის ადვოკატ ნატო გოგმაჩაძეს, რადგან ამ მესენჯერის მეშვეობით მათ შორის წლების განმავლობაში იყო კონტაქტი საქმის დეტალების შესახებ.

1.12 მომჩივანმა განმარტა, რომ როდესაც უკავშირდებოდა ადვოკატი ნატო გოგმაჩაძე, მას უკვე ჰყავდა ადვოკატი. მას და მის ადვოკატს ორივეს ჰქონდათ პოზიცია, რომ ადვოკატი ნატო გოგმაჩაძე დაკავშირებოდა მხოლოდ ადვოკატ თინა იმნაძეს.

1.13 მომჩივანის განმარტებით, ადვოკატი მის ადვოკატთან და მასთან შეუთანხმებლად მის საცხოვრებელ ბინაში ავიდა და მიიტანა ახალი მორიგების აქტი. ამ ფაქტს შეესწრო მისი და, რომლის დამსახურებაა, რომ მან მორიგების აქტს ხელი არ მოაწერა. ადვოკატი ფსიქოლოგიური ზეწოლით აიძულებდა დათანხმებოდა მისთვის მიუღებელ მორიგების პირობებს.

2. საჩივრის ავტორის მოწმის, მზია დიასამიძის ახსნა-განმარტება:

2.1 2022 წლის 16 თებერვლის განხილვის კოლეგიის სხდომაზე მოწმემ მზია დიასამიძემ განმარტა, რომ არის ნაზიბროლა შაქარაშვილის და (დაბ. 23.02.1986 წ). მოწმის ინფორმაციით, ადვოკატ ნატო გოგმაჩაძეს შეხვდა რამდენჯერმე.

2.2 მოწმის განმარტებით, გასული დროის მიუხედავად, მას ახსოვს ფაქტი, რომ ნაზიბროლა შაქარიშვილთან სტუმრობისას, მისი დის ბინაში მივიდა ადვოკატი ნატო გოგმაჩაძე და მის დას მიუტანა საბუთები, სადაც განიხილებოდა ალიმენტის საკითხი. შეხვედრის დასაწყისში ადვოკატი საუბრობდა მაღალფარდოვანი სიტყვებით და საკმაოდ დამაჯერებლად, შემდეგ მოწმე მიხვდა, რომ ადვოკატის პოზიცია არ იყო მისი დის ინტერესებისათვის სასარგებლო და როდესაც ფაქტებს ჩაეძია, ადვოკატმა მოითხოვა, რომ მას დაეტოვებინა ოთახი. ამ დღეს მათ შორის დაიძაბა ურთიერთობა.

2.3 მოწმის ინფორმაციით, მისი თანდასწრებით, ადვოკატი ნაზიბროლა შაქარიშვილის მიმართ, იქცეოდა ცინიკურად, შეურაცხყოფას აყენებდა „დიპლომატიურად". მისმა დამ აჩვენა ადვოკატ ნატო გოგმაჩაძესთან მიმოწერა, სადაც ადვოკატი ნაზიბროლა შაქარიშვილს აყენებდა შეურაცხყოფას. მოწმე განმარტავს, რომ ნაზიბროლა შაქარიშვილთან კომუნიკაციას ადვოკატის მხრიდან შეესწრო რამდენჯერმე, რის შემდეგაც ნაზიბროლა იყო აღელვებული საუბრის შინაარსიდან გამომდინარე.

2.4 მოწმე განმარტავს, რომ ადვოკატი მის დას ესაუბრებოდა „შანტაჟის" ენით. ნაზიბროლა შაქარიშვილი ნატო გოგმაჩაძის ყოველი სმს-ის და ზარის შემდეგ იყო აფორიაქებული. ზოგი სმს იყო მუქარის

შემცვლელი, შინაარსით - „საერთოდ ნულზე დაგტოვებ“. ადვოკატი ცდილობდა მისი დის „მანიპულაციას“.

2.5 მოწმე განმარტავს, რომ ადვოკატ ნატო გოგმაჩაძეს თავადაც უთხრა, რომ მის დას ჰყავდა ადვოკატი და დაკავშირებოდა მის ადვოკატს. მისი და თითქმის ყოველი დიალოგის დასაწყისში და ბოლოს ეუბნებოდა ადვოკატს, რომ მასთან ურთიერთობა არ ჰქონოდა.

3. ადვოკატის პოზიცია

3.1 2018 წლის 01 აგვისტოს ადვოკატმა ნატო გოგმაჩაძემ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობით ახსნა-განმარტება, ხოლო 2022 წლის 16 თებერვალს განხილვის კოლეგიის სხდომაზე ზეპირი ახსნა-განმარტება, სადაც აღნიშნა, რომ მის მიმართ შემოტანილ საჩივართან მიმართებაში ეთიკის კომისიამ უნდა შეწყვიტოს წარმოება იქიდან გამომდინარე, რომ საჩივრის ავტორს არ აქვს დართული მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებენ საჩივარში წარმოდგენილ ბრალდებებს და ასევე საჩივრის შინაარსი არის შეურაცხმყოფელი ხასიათის.

3.2 ადვოკატის განცხადებით, 2016 წელს ეჭვიანობის ნიადაგზე მისმა კლიენტმა - ირაკლი შაქარიშვილმა მოითხოვა განქორწინება, რაზეც საჩივრის ავტორი არ თანხმდებოდა მას. ამ პერიოდში მათ მოუხდათ ოჯახური დავა, საჩივრის ავტორმა გამოიძახა პატრული და ირაკლი შაქარიშვილი დააკავეს ოჯახში ძალადობის ბრალდებით. ირაკლი შაქარიშვილის დაკავების შემდეგ, ის და ნაზიბროლა შაქარიშვილი შეთანხმდნენ, რომ განქორწინების საქმეს დაასრულებდნენ მორიგებით. მორიგების აქტის დადების სანაცვლოდ შეთანხმდნენ, რომ საჩივრის ავტორი „სისხლის სამართლის საქმეს მოაგვარებდა“.

3.3 ქორწინების პერიოდში ადვოკატის კლიენტმა და ნაზიბროლა შაქარიშვილმა ბანკიდან აიღეს ვალი, ბანკმა ორივე მსესხებელს მოსთხოვა თანხის დაბრუნება. ადვოკატის განცხადებით, მან სწორედ ამის შემდეგ შესთავაზა საჩივრის ავტორს მორიგების ახალი პირობები, რომელიც წესით ნაზიბროლა შაქარიშვილისათვის მისაღები უნდა ყოფილიყო.

3.4 ადვოკატი იძულებული იყო პირადად დაკავშირდებოდა საჩივრის ავტორს იქედან გამომდინარე, რომ საჩივრის ავტორის ადვოკატი არ პასუხობდა მის სატელეფონო ზარებს და ტექსტურ შეტყობინებებს. ასევე, კლიენტის დავალებით, პირადად შეხვდა რამდენჯერმე ნაზიბროლა შაქარიშვილს და ბავშვებისათვის გადასცა თანხა და ნივთები.

3.5 სასამართლოს გადაწყვეტილებით ნაზიბროლა შაქარიშვილს აკრძალული ჰქონდა ადვოკატის კლიენტის საკუთრებაში არსებული ბინის გაქირავება. მას შეეძლო მხოლოდ პირადად ეცხოვრა ამ ბინაში შვილებთან ერთად. სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, ნაზიბროლა შაქარიშვილმა ბინა გააქირავა და მან, როგორც ადვოკატმა, გამოიჩინა კეთილი ნება, იმისთვის რომ საჩივრის ავტორი არ შეერცხვინა მდგმურების წინაშე, წინასწარ აცნობა, რომ აღმასრულებელთან და აღსრულების პოლიციასთან ერთად მივიდოდა. მას შემდეგ, რაც საჩივრის ავტორს ბინის მდგმურებისაგან დაცლა მოითხოვა, საჩივრის ავტორი ყოველ 5 წუთში წერდა მას და შეურაცხყოფას აყენებდა სოციალური ქსელის მეშვეობით, რაზეც მან უპასუხა, რომ მოცემული მომენტიდან მხოლოდ კანონის ენით დაელაპარაკებოდა სასამართლოში.

3.6 ადვოკატის მხრიდან მუქარის ფაქტს არ ჰქონია ადგილი. იგი არ დამუქრებია სიცოცხლის მოსპობით საჩივრის ავტორს, მის შვილებს, არც „სტუმრების კიბეზე გადმოყრით“ და ამის თაობაზე განმარტების მიცემა ეთიკის კომისიისათვის, მისთვის არის შეურაცხმყოფელი.

3.7 ადვოკატი განმარტავს, რომ ის მიმოწერა, რომელიც საჩივრის ავტორმა წარმოუდგინა ეთიკის კომისიას, არის კონტექსტიდან ამოგლეჯილი, არ არის სრული სახით და ვერ იქნება მტკიცებულებად გამოყენებული. მას ამ ეტაპზე ნაზიბროლა შაქარიშვილთან არ აქვს კონტაქტი, ხოლო ნაზიბროლას მხრიდან მიყენებული შეურაცხყოფის გამო ეს უკანასკნელი დაბლოკა სოციალური ქსელიდან. ადვოკატი განმარტავს, რომ ის ნაზიბროლა შაქარიშვილს მხოლოდ მას შემდეგ უკავშირდებოდა, რაც მისი ადვოკატი თინა იმნაძე უარს ამბობდა მასთან კონტაქტზე.

3.8 2022 წლის 16 თებერვლის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ არანაირ სინანულს გამოხატავს იმ ფაქტების მიმართ, რაც არ ჩაუდენია. ადვოკატი განმარტავს, რომ ნაზიბროლა შაქარიშვილის ცხოვრების წესია უსაფუძვლო ბრალდებებით მიმართოს სხვადასხვა ორგანოებს იმ პირთა მიმართ, რომლებიც არ მოსწონს.

3.9 ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტის ინტერესიდან გამომდინარე, ჰქონდა მორიგებაზე ნაზიბროლა შაქარიშვილთან კომუნიკაციის უფლება მისი ადვოკატის ინფორმირებულობით, რასაც აკეთებდა. ეს კარგად ჩანს მიმოწერაშიც. ადვოკატი განმარტავს, რომ კომუნიკაციის ინიციატორი ყოველთვის ნაზიბროლა შაქარიშვილი იყო.

3.10 ადვოკატი განმარტავს, რომ მან მართლაც წარადგინა განჩინება აღსასრულებლად აღსრულების ეროვნულ ბიუროში, თუმცა არასწორია მომჩივანის მითითება იმაზე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ განჩინება გააუქმა. რეალურად, სასამართლომ განჩინების გარკვეულ პირობებში შეიტანა ცვლილება. აღსრულების საჭიროება დადგა, რადგან მომჩივანმა ბინა გააქირავა, რისი უფლებაც არ ჰქონდა - მის მიერ გაგზავნილი სარჩელი ჩაიბარა დამქირავებელმა.

3.11 ადვოკატი განმარტავს, რომ მას აქვს უფლება გამოიყენოს ტერმინი „სულელური ბრალდება“, მაშინ როდესაც მომჩივანი უსაფუძვლოდ დებს ბრალს სამომმავლო მკვლელობის ჩადენაში. ასევე ტერმინი - „ფსიქოლოგიურად გაუწონასწორებელი ადამიანი“ წარმოადგენს ფაქტის კონსტატაციას, არაკულტურულად ასეთ ადამიანს უწოდებენ „გიჟს“. თუ ადამიანი ფსიქიკურად გაწონასწორებულია, ის სამომავლო მკვლელობას არავის დააბრალებს.

3.12 ადვოკატმა განმარტა, რომ ნაზიბროლა შაქარიშვილს მასთან კომუნიკაცია არ აუკრძალია. მის ადვოკატთან თინა იმნაძესთან შეთანხმების გარეშე, ნაზიბროლა შაქარიშვილისათვის მის საცხოვრებელ ბინაში მორიგების აქტი არ მიუტანია. ასევე, ნაზიბროლა შაქარიშვილთან კომუნიკაციისას მის მიმართ შეურაცხმყოფელი მიმოწერა არ ყოფილა.

3.13 ადვოკატი სადავოდ ხდის მომჩივანის მიერ წარმოდგენილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს F21001580 ფაქტების კონსტანტაციის შესახებ ოქმის ნამდვილობას.

4. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

4.1 2019 წლის 12 სექტემბერს მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნატო გოგმაჩაძის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

4.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა მოწინააღმდეგე მხარე - ნაზიბროლა შაქარიშვილისადმი წერილობითი კომუნიკაციის დროს გამოიჩინა უპატივცემულობა და მასთან კომუნიკაცია ჰქონდა მისი ადვოკატის გვერდის ავლით,

ადვოკატის მიერ დარღვეული იქნებოდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.4 და 10.4 მუხლებით დადგენილი ადვოკატის ეთიკური ქცევის სტანდარტი.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის პოზიცია:

5.1 ეთიკის კომისიის 2019 წლის 30 იანვარის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ნატო გოგმაჩაძის ქმედებაში დადგინდა დისციპლინური გადაცდომა აპეკ-ის 9.4 და 10.4 ნორმების საფუძველზე და ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა გაფრთხილება. ადვოკატმა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. 2019 წლის 27 ივნისის Nსსდ-18-19 გადაწყვეტილებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისცილინო პალატამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ადვოკატ ნატო გოგმაჩაძის საჩივარი და საქმე განსახილველად დაუბრუნა ეთიკის კომისიას.

5.2 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 27 ივნისის Nსსდ-18-19 გადაწყვეტილებით, სადიციპლინო პალატის მოტივაციას წარმოადგენდა გარემოება, რომ ეთიკის კომისიის მიერ დადგენილი ფაქტები, რის გამოც ადვოკატს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა, არ იყო მტკიცებულებებით გამყარებული. კონკრეტულად: კომისია დაეყრდნო მომჩივანი მხარის მიერ წარმოდგენილ მიმოწერას, ისე, რომ მიმოწერის ავთენტურობა დადასტურებული არ ყოფილა; ასევე, კომისიას სადავო ფაქტების დასადგენად არ გამოუკითხავს მოწმე. პალატამ განმარტა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სადავო ფაქტების მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მომჩივანს და წარმოდგენილი მტკიცებულებებით სადავო გარემოება არ დასტურდებოდა.

II სამოტივაციო ნაწილი

6. საქმის ფაქტები:

6.1 უდავო ფაქტები:

6.1.1 ადვოკატი ნატო გოგმაჩაძე ნაზიბროლა შაქარიშვილს ყოფილი მეუღლის, ირაკლი შაქარიშვილის ინტერესებს წარმოადგენდა განქორწინებას და ქონების გაყოფის სამოქალაქო საქმეზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა მიერ ეთიკის კომისიისთვის წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები;

განხილვის კოლეგიის 2022 წლის 16 თებერვლის სხდომის ოქმი.

6.1.2 ადვოკატ ნატო გოგმაჩაძესა და ნაზიბროლა შაქარიშვილს შორის არსებობდა წერილობითი, სატელეფონო და პირადი კომუნიკაცია.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

განხილვის კოლეგიის 2022 წლის 16 თებერვლის სხდომის ოქმი;

ნაზიბროლა შაქარიშვილის მიმოწერა „Facebook Messenger“ - ის მეშვეობით (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს F21001580 ოქმი ფაქტების კონსტატაციის შესახებ);

მოწმის მზია დიასამიძის ახსნა-განმარტება;

სატელეფონო ზარების ამონაწერი;

6.1.3 ნაზიბროლა შაქარიშვილის ინტერესებს სამოქალაქო დავაში წარმოადგენდა ადვოკატი თინა იმნაძე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

განხილვის კოლეგიის 2022 წლის 16 თებერვლის სხდომის ოქმი.

6.1.4 ნაზიბროლა შაქარაშვილთან კომუნიკაციისას, ადვოკატ ნატო გოგმაჩაძემ "Facebook Messenger"-ით კომუნიკაციისას გამოიყენა ფრაზები: „უცოდინარობა და უტვინობაა" (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს F21001580 ოქმი ფაქტების კონსტანტაციის შესახებ, გვ.37); „სულელური ქცევით უფრო მეტს დაკარგავ ვიდრე მოიგებ" (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს F21001580 ოქმი ფაქტების კონსტანტაციის შესახებ, გვ. 38); „იმაზე სულელი ყოფილხარ ვიდრე მეგონე" (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს F21001580 ოქმი ფაქტების კონსტანტაციის შესახებ, გვ. 46). ეთიკის კომისიაში 2018 წლის 1 აგვისტოს წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში ადვოკატი იყენებს ფრაზეოლოგიას: „პირველ რიგში ასეთი სულელური და საზიზღარი ცილისწამების შემოტანის უფლება ადვოკატის წინააღმდეგ მტკიცებულების გარეშე, არავის უნდა ჰქონდეს! პირადად ჩემთვის ეს საზიზღარი ბრალდება არის შეურაცხმყოფელი და აღმაშფოთებელი"; „ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ადამიანი". 2022 წლის 16 თებევრლის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა მომჩივანი მოიხსენია ტერმინით - „ფსიქოლოგიურად გაუწონასწორებელი ადამიანი" და განმარტა, რომ „ეს წარმოადგენდა ფაქტის კონსტანტაციას - არაკულტურულად ასეთ ადამიანს უწოდებენ „გიჟს"".

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

განხილვის კოლეგიის 2022 წლის 16 თებერვლის სხდომის ოქმი;

ნაზიბროლა შაქარიშვილისა და ადვოკატ ნატო გოგმაჩაძის მიმოწერა „„Facebook Messenger" - ის მეშვეობით (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს F21001580 ოქმი ფაქტების კონსტატაციის შესახებ);

6.2 სადავო ფაქტები:

კოლეგიამ აღნიშნული ფაქტები მიიჩნია სადავოდ, რადგან მხარეებს აქვთ განსხვავებული პოზიციები.

6.2.1 ადვოკატი ნატო გოგმაჩაძე საჩივრის ავტორს, ნაზიბროლა შაქარიშვილს უკავშირდებოდა მისი ადვოკატის თინა იმნაძის გვერდის ავლით;

1. ნაზიბროლა შაქარიშვილის პოზიციით, ადვოკატ ნატო გოგმაჩაძისათვის მიუხედავად მისი არაერთგზის თხოვნისა, რომ ის დაკავშირებოდა მის ადვოკატს თინა იმნაძეს და არა პირადად მას, ადვოკატი მის თხოვნას არ ითვალისწინებდა და კომუნიკაცია ჰქონდა სულ მასთან. აღნიშნულთან დაკავშირებით ადვოკატმა განმარტა, რომ კომუნიკაციის ინიციატორი

ყოველთვის იყო ნაზიბროლა შაქარიშვილი; ასევე, მას ეკონტაქტებოდა მის ადვოკატთან, თინა იმნაძესთან შეთანხმებით.

2. საქმეში წარმოდგენილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს F21001580 ოქმით ფაქტების კონსტატაციის შესახებ დასტურდება, რომ ნატო გოგმაჩაძე საჩივრის ავტორთან ათანხმებს მორიგების პირობებს (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს F21001580 ოქმი, გვ.6-10; გვ.45); არწმუნებს მორიგების საჭიროებაში (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს F21001580 ოქმი ფაქტების კონსტანტაციის შესახებ, გვ.17, გვ.19; გვ.23); უგზავნის სააღსრულებო ფურცელს და ეუბნება, რომ რამდენიმე საათში აღმასრულებელი გამოყრის მდგმურებს გარეთ (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს F21001580 ოქმი, გვ. 18); საქმის სამართლებრივ შედეგებზე აწვდის ინფორმაციას (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს F21001580 ოქმი, გვ.26; გვ.28; გვ.30-31; 35; 39; გვ.40; გვ.47; გვ.50): „ნაზი შენს თავხედობას საზღვარი არ ჰქონია, როგორ გაბედე კიკეთის სახლში მესაკუთრის თანხმობის გარეშე შესვლა? ახლა ირაკლის საჩივარი შეაქვს სისხლის სამართლის წესით სხვის ქონებაში უკანონოდ შეჭრის გამო გიჩივლებს და კარგად იქნება შენი საქმე, თან ჭკუაც არ გეყო და სურათებიც გამოფინეთ იქ გადაღებული“ (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს F21001580 ოქმი, გვ.26); „აღვძრავ სისხლის სამართლის საქმეს შენს წინააღმდეგ სასამართლოს განჩინების შეუსრულებლობისათვის“ (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს F21001580 ოქმი ფაქტების კონსტანტაციის შესახებ, გვ.39); „რამდენიმე დღეში ნახავ რა მოუვათ შენს „სტუმრებს“ (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს F21001580 ოქმი, გვ.40); „ნამდვილად ცოდო ხარ მაგ გადაწყვეტილების წინააღმდეგ თუ წახვალ, იმიტომ რომ მაგის წინააღმდეგ წასვლა პატიმრობით ისჯება“ (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს F21001580 ოქმი, გვ.55).

3. დისციპლინური წარმოება შეჯიბრებითია; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.1 მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოებანი, რომელზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნას და შესაგებელს; კანონის ანალოგიით, იმ ფაქტის მტკიცების ტვირთი, რომ ადვოკატი ნატო გოგმაჩაძე შეუთანხმდა თავისი კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატს, თინა იმნაძეს და მასთან შეთანხმებით ჰქონდა კომუნიკაცია ნაზიბროლა შაქარიშვილთან, ეკისრება ადვოკატ ნატო გოგმაჩაძეს. კოლეგია იზიარებს ადვოკატ ნატო გოგმაჩაძის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ მხარის მიერ წარმოდგენილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს F21001580 ფაქტების კონსტანტაციის ოქმი არ ასახავს მიმოწერის სრულ სურათს, ასევე, გარკვეული კომუნიკაცია მხარეებს შორის არსებობდა ორმხრივი თანხმობით. თუმცა გამოიკვეთა, რომ მომჩივანი არაერთხელ აფიქსირებს პოზიციას, რომ ადვოკატი დაუკავშირდეს მის ადვოკატს ((საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს NF21001580 ოქმი ფაქტების კონსტანტაციის შესახებ, გვ. 11), ამის

მიუხედავად, ადვოკატმა ნატო გოგმაჩაძემ ნაზიბროლა შაქარიშვილთან კომუნიკაცია გააგრძელა მას შემდეგ, რაც ნაზიბროლა შაქარიშვილმა სთხოვა, რომ შეეწყვიტა მასთან კომუნიკაცია და დაკონტაქტებოდა მისი ადვოკატის, თინა იმნაძის მეშვეობით.

4. ადვოკატმა ნატო გოგმაჩაძემ მტკიცებულების სახით ეთიკის კომისიას წარმოუდგინა ადვოკატ თინა იმნაძესთან 2018 წლის 6 სექტემბერს ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შეტყობინება, იმის დასტურად, რომ ნაზიბროლა შაქარიშვილს ეკონტაქტებოდა თინა იმნაძის თანხმობით. შეტყობინებაში მითითებულია: „გამარჯობა თინა, არაერთხელ მოგწერე მეილზე (ამ ორი წლის განმავლობაში რაც ჩვენ დავებს ვაწარმოებთ) შენ პასუხის გასაცემად თავს არ იწუხებ, როცა გირეკავ მეუბნები, რომ ვერ დამელაპარაკები არ გცალია და ასე შემდეგ... მაინტერესებს რა მიზეზით არიდებ თავს ჩემთან კომუნიკაციას? გთხოვ ამ კითხვაზე მომწერე პასუხი. ასევე ბოლოს მეილით გადმოგიგზავნე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განჩინება, რომლითაც შენს კლიენტს ნაზიბროლა შაქარიშვილს აეკრძალა ირაკლი შაქარიშვილის კუთვნილი ბინის გაქირავება, ამ საკითხთან დაკავშირებით დაგირეკე კიდეც თუმცა შენ საუბარზე უარი განაცხადე, რის შემდეგაც დავუკავშირდი შენს კლიენტს და ვთხოვე გაქირავების შეწყვეტა. მან კი მითხრა, რომ შენ განუმარტე: თითქოსდა ჩემს მიერ წარმოდგენილ სასამართლოს განჩინებას იურიდიული ძალა არა აქვს. გთხოვ მაცნობო, შენი მხრიდან იყო თუ არა ასეთი განმარტება მიცემული და თუ იყო, რა მიზეზით თვლი, რომ განჩინებას ძალა არა აქვს?“. ადვოკატ ნატო გოგმაჩაძის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება ვერ აკმაყოფილებს დასაბუთების იმ ხარისხს, რაც კოლეგიას დაარწმუნებდა, რომ ის მოქმედებდა არა თვითნებურად, არამედ ადვოკატ თინა იმნაძესთან შეთანხმებით. ნატო გოგმაჩაძეს არ წარმოუდგენია სხვა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ადვოკატ ნატო გოგმაჩაძეს, ნაზიბროლა შაქარიშვილის ადვოკატის - თინა იმნაძისაგან ჰქონდა თანხმობა, რომ მისი გვერდის ავლით დაკავშირებოდა მის კლიენტს. თავის მხრივ, ნაზიბროლა შაქარიშვილის მიერ წარმოდგენილი მიმოწერით დასტურდება, რომ მან არაერთხელ უთხრა ადვოკატს შეეწყვიტა მასთან კომუნიკაცია, შესაბამისად, კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნატო გოგმაძეს ნაზიბროლა შაქარიშვილთან კომუნიკაცია ჰქონდა ადვოკატ თინა იმნაძის გვერდის ავლით.

კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ადვოკატ ნატო გოგმაჩაძის შეტყობინება ადვოკატ თინა იმნაძეს (2018 წლის 6 სექტემბრის ელ-ფოსტა);

ნაზიბროლა შაქარიშვილისა და ადვოკატ ნატო გოგმაჩაძის მიმოწერა „Facebook Messenger“ - ის მეშვეობით (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს F21001580 ოქმი ფაქტების კონსტატაციის შესახებ);

6.2.2 ადვოკატმა ნატო გოგმაჩაძემ ნაზიბროლა შაქარიშვილს უთხრა - „აღმასრულებელთან ერთად მოვალ და შენს სტუმრებს კიბეზე დავაგორებ“.

ადვოკატი განმარტავს, რომ მას ნაზიბროლა შაქარაშვილთან კომუნიკაციისას მსგავსი შინაარსის ფრაზა არ გამოუყენებია.

კომისიამ სრულად შეისწავლა საქმეში წარმოდგენილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს F21001580 ოქმი ფაქტების კონსტატაციის შესახებ, სადავო ფრაზის შინაარსი არ გამომდინარეობს ადვოკატის მიერ გაგზავნილი არც ერთი-შეტყობინებიდან. შესაბამისად, კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატ ნატო გოგმაჩაძეს ნაზიბროლა შაქარიშვილისათვის არ უთქვამს შემდეგი შინაარსის ფრაზა - „აღმასრულებელთან ერთად მოვალ და შენს სტუმრებს კიბეზე დავაგორებ“.

კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ნაზიბროლა შაქარიშვილისა და ადვოკატ ნატო გოგმაჩაძის მიმოწერა „Facebook Messenger“ - ის მეშვეობით (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს F21001580 ოქმი ფაქტების კონსტატაციის შესახებ);

7. შემაჯამებელი დასკვნა

განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მხარეთა ახსნა-განმარტებებს და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნატო გოგმაჩაძის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

8. სამართლებრივი შეფასება:

8.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნატო გოგმაჩაძის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

8.1.1 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.4 მუხლი: ,,ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას“.

8.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 10.4 მუხლი: „ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი თანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება“.

8.2 კომისიის შეფასებით, კლიენტის ინტერესის წარმოდგენისას ადვოკატმა არ უნდა გამოიჩინოს უპატივცემულობა პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარისადმი. ამ ნორმის მიზანია მართლმსაჯულების პროცესისადმი ხელშეწყობა და ადვოკატის პროფესიის რეპუტაციის ზრდა. ვიწრო განმარტებით აღნიშნული ეხება პროცესის მხარეებს, მოწმეებს, თარჯიმნებს, სპეციალისტებს და ა.შ., ასევე პროცესზე დამსწრე პირებს. მოწინააღმდეგე მხარის პატივისცემის ვალდებულება მოიცავს მისთვის შეურაცხყოფის მიყენების დაუშვებლობას, მისი საპროცესო უფლებების დარღვევის აკრძალვას, მისდამი მუქარის დაუშვებლობას.

8.3 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში R.S and Z v Switzerland (განაცხადი N10414/83, 1984 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილება) აღნიშნა: „პროფესიული ვალდებულებები და

პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა."

8.4 მოწინააღმდეგე მხარესთან ურთიერთობისას, ადვოკატს აქვს უფლება თავისი პოზიცია, მოსაზრება გამოხატოს კრიტიკულად, ხისტად, მძაფრად და ემოციურად. თუმცა, ადვოკატის მიერ წარმოთქმული სიტყვები თუ დაწერილი ტექსტი არ უნდა ცდებოდეს გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროს და არ უნდა იყოს შეურაცხმყოფელი ხასიათის. პროცესუალური მოწინააღმდეგის მიმართ გამოთქმული ფრაზეოლოგია უნდა შეფასდეს პროფესიული მიზნიდან გამომდინარე - ფრაზას უნდა ჰქონდეს საქმიანი დანიშნულება და უპირატესად, კლიენტის ინტერესის დაცვის მიზანი.

8.5 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები, განაცხადონ აცილებები, წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით, მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე", ხოლო ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები". საქმისწარმოების განხილვის ეტაპზე, ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხარეთა პოზიციებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე.

8.6 ეთიკის კომისია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2b/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს." შესაბამისად, ვინაიდან ადვოკატი ადვოკატი ნატო გოგმაჩაძე მის მიერ მომჩივანისათვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს სადავოდ ხდის, მის მიერ ნაზიბროლა შაქარიშვილისათვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტის მტკიცების ტვირთი აკისრია ნაზიბროლა შაქარიშვილს.

8.7 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ განიხილა ეთიკის კომისიის 2019 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება დისციპლინური საქმეზე N097/18, რომლითაც ადვოკატ ნატო გოგმაჩაძეს სახდელის სახით დაეკისრა - გაფრთხილება და საქმე თავიდან განსახილველად დაუბრუნა ეთიკის კომისიას. ეთიკის კომისიამ საკითხის გამოკვლევისას გაითვალისწინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 27 ივნისის Nსსდ-18-19 გადაწყვეტილების მოტივაცია. ეთიკის კომისიას 2019 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით, სადავო ფაქტის (ნატო გოგმაჩაძის მიერ ნაზიბროლა შაქარიშვილთან კომუნიკაციისას შეურაცხმყოფელი ფრაზების გამოყენება) მტკიცების ტვირთი დაკისრებული ჰქონდა ადვოკატ ნატო გოგმაჩაძისათვის. ამჟამად, ახალი გადაწყვეტილებით, კომისია იზიარებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადიციპლინო პალატის 2019 წლის 27 ივნისის Nსსდ-18-19 გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ მტკიცების ტვირთი ეკისრება საჩივრის ავტორს.

8.8 საქმის განხილვის ეტაპზე ნაზიბროლა შაქარიშვილმა ეთიკის კომისიას წარმოუდგინა სარწმუნო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რაც წინა განხილვის დროს, 2018 წელს არ წარმოუდგენია:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს F21001580 ოქმი ფაქტების კონსტანტაციის შესახებ - სადაც ასახულია ნაზიბროლა შაქარიშვილსა და ადვოკატ ნატო გოგმაჩაძეს შორის კომუნიკაცია; ნაზიბროლა შაქარიშვილსა და ადვოკატ ნატო გოგმაჩაძეს შორის განხორციელებული სატელეფონო ზარების ამონაწერი; მოწმის მზია დიასამიძის ახსნა-განმარტება. კომისიამ დააკმაყოფილა მომჩივანის შუამდგომლობა მოწმის სახით გამოკითხულიყნენ პირები: მზია დიასამიძე, დავით შავლაყაძე, ხათუნა ბერიძე და მაია ხუბაევა. მომჩივანის მითითებით, მოწმები დაადასტურებდნენ მასსა და ადვოკატ ნატო გოგმაჩაძეს შორის კომუნიკაციის ფაქტს, კომისიამ გამოკითხა მოწმე მზია დიასამიძე. დანარჩენი მოწმეთა წარმოდგენა 2022 წლის 16 თებერვლის სხდომაზე საჩივრის ავტორმა ვერ უზრუნველყო, თუმცა წარმოადგინა მტკიცებულება - სატელეფონო ზარების ამონაწერი, რომელზეც მიუთითა, რომ ასევე ადასტურებდა მასსა და ადვოკატს შორის კომუნიკაციის არსებობას. კომისიამ არ დააკმაყოფილა ადვოკატ ნატო გოგმაჩაძის შუამდგომლობა საქმის განსახილველად პროკურატურისათვის გადაცემის შესახებ. კომისიამ ადვოკატ ნატო გოგმაჩაძეს შესთავაზა ხომ არ იშუამდგომლებდა გამოკითხულიყო მოწმე - ადვოკატი თინა იმნაძე, თუმცა ადვოკატმა უარი განაცხადა. მომჩივანის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საპირწონე მტკიცებულება, ადვოკატ ნატო გოგმაჩაძეს ეთიკის კომისიისათვის არ წარმოუდგენია.

8.9 ნაზიბროლა შაქარიშვილის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ნაზიბროლა შაქარიშვილთან კომუნიკაციისას, ადვოკატმა ნატო გოგმაჩაძემ გამოიყენა ფრაზეოლოგია: „უცოდინარობა და უტვინობაა“ (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს F21001580 ოქმი ფაქტების კონსტანტაციის შესახებ, გვ.37); „სულელური ქცევით უფრო მეტს დაკარგავ ვიდრე მოიგებ“ (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს F21001580 ოქმი ფაქტების კონსტანტაციის შესახებ, გვ. 38); „იმაზე სულელი ყოფილხარ ვიდრე მეგონე“ (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს F21001580 ოქმი ფაქტების კონსტანტაციის შესახებ, გვ. 46). ეთიკის კომისიაში 2018 წლის 1 აგვისტოს წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში ადვოკატი იყენებს ფრაზეოლოგიას: „პირველ რიგში ასეთი სულელური და საზიზღარი ცილისწამების შემოტანის უფლება ადვოკატის წინააღმდეგ მტკიცებულების გარეშე, არავის უნდა ჰქონდეს! პირადად ჩემთვის ეს საზიზღარი ბრალდება არის შეურაცხმყოფელი და აღმაშფოთებელი“; „ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ადამიანი“. 2022 წლის 16 თებევრლის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა მომჩივანი მოიხსენია ტერმინით - „ფსიქოლოგიურად გაუწონასწორებელი ადამიანი“ და განმარტა, რომ „ეს წარმოადგენდა ფაქტის კონსტანტაციას - არაკულტურულად ასეთ ადამიანს უწოდებენ „გიჟს““.

8.10 ეთიკის კომისიის შეფასებით, ნაზიბროლა შაქარაშვილთან კომუნიკაციისას, ადვოკატ ნატო გოგმაჩაძის ლექსიკა, ფრაზეოლოგიის კონტექსტი და მიზანი, ცდება მოწინააღმდეგე მხარესთან კომუნიკაციის სტანდარტს და კლიენტის ინტერესის დაცვაზე უპირატესად, გამოხატულია ნაზიბროლა შაქარიშვილის შეურაცხყოფის მიზანი.

8.11 განხილვის კოლეგიამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ადვოკატმა მოწინააღმდეგე მხარე - ნაზიბროლა შაქარიშვილისადმი როგორც წერილობითი, ასევე ეთიკის კომისიაში კომუნიკაციის დროს გამოიჩინა უპატივცემულობა, შესაბამისად, ადვოკატის მიერ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.4 მუხლი.

8.12 კოლეგიის განმარტებით, როდესაც პირი წარმოდგენილია ადვოკატით და პროცესუალური მოწინააღმდეგის ადვოკატი მისი გვერდის ავლით ცდილობს მოლაპარაკებების წარმოებას, იმის გამო, რომ ადვოკატი აღჭურვილია საქმის წარმოებისათვის საჭირო ცოდნითა და შესაბამისი უნარებით, მას აქვს მოწინააღმდეგე მხარეზე პროცესუალური უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობა. აღნიშნული ნორმა მიზნად ისახავს მხარეთა შორის თანაბარი პირობების შექმნას და პირის კანონიერი უფლების დაცვას. ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს მოწინააღმდეგე მხარის გამოუცდელობითა და კანონის არ ცოდნით, გამომდინარე მოწინააღმდეგე მხარის უფლებების დაცვის ზოგადი ვალდებულებიდან. თუმცა როდესაც მოწინააღმდეგე მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, ამ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფისთვის დადგენილია მოწინააღმდეგე მხარესთან ადვოკატის საშუალებით კომუნიკაციის წესი, გარდა საგამონაკლისო შემთხვევებისა.

8.13 ნაზიბროლა შაქარიშვილი დავაში წარმოდგენილი იყო ადვოკატით - მას მომსახურებას უწევდა ადვოკატი თინა იმნაძე. პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატისათვის - ნატო გოგმაჩაძისათვის შეცნობადი იყო, რომ ნაზიბროლა შაქარიშვილის ჰყავდა წარმომადგენელი. კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატ ნატო გოგმაჩაძეს ნაზიბროლა შაქარიშვილთან ჰქონდა თვითნებური კომუნიკაცია მიუხედავად იმისა, რომ თხოვა შეეწყვიტა მასთან ურთიერთობა (პარ. 6.2.1).

8.14 საქმეში წარმოდგენილი მიმოწერით დასტურდება, რომ ნატო გოგმაჩაძე საჩივრის ავტორთან ათანხმებს მორიგების პირობებს (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს F21001580 ოქმი ფაქტების კონსტანტაციის შესახებ გვ.6-10; გვ.45), არწმუნებს მორიგების საჭიროებაში (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს F21001580 ოქმი ფაქტების კონსტანტაციის შესახებ, გვ.17, გვ.19; გვ.23); უგზავნის სააღსრულებო ფურცელს და ეუბნება, რომ რამდენიმე საათში აღმასრულებელი გამოყრის მდგმურებს გარეთ (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს F21001580 ოქმი ფაქტების კონსტანტაციის შესახებ გვ. 18); საქმის სამართლებრივ შედეგებზე აწვდის ინფორმაციას (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს F21001580 ოქმი ფაქტების კონსტანტაციის შესახებ, გვ.26; გვ.28; გვ.30-31; 35; 39; გვ.40; გვ.47; გვ.50): „ნაზი შენს თავხედობას საზღვარი არ ჰქონია, როგორ გაბედე კიკეთის სახლში მესაკუთრის თანხმობის გარეშე შესვლა? ახლა ირაკლის საჩივარი შეაქვს სისხლის სამართლის წესით სხვის ქონებაში უკანონოდ შეჭრის გამო გიჩივლებს და კარგად იქნება შენი საქმე, თან ჭკუაც არ გეყო და სურათებიც გამოფინეთ იქ გადაღებული“ (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს F21001580 ოქმი ფაქტების კონსტანტაციის შესახებ, გვ.26); „აღვძრავ სისხლის სამართლის საქმეს შენს წინააღმდეგ სასამართლოს განჩინების შეუსრულებლობისათვის“ (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს F21001580 ოქმი ფაქტების კონსტანტაციის შესახებ, გვ.39); „რამდენიმე დღეში ნახავ რა მოუვათ შენს „სტუმრებს“ (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს F21001580 ოქმი ფაქტების კონსტანტაციის შესახებ, გვ.40); „ნამდვილად ცოდო ხარ მაგ გადაწყვეტილების წინააღმდეგ თუ წახვალ, იმიტომ რომ მაგის წინააღმდეგ წასვლა პატიმრობით ისჯება“ (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს F21001580 ოქმი ფაქტების კონსტანტაციის შესახებ, გვ.55).

8.15 ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა ნატო გოგმაჩაძემ დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით განსაზღვრული ეთიკური ვალდებულება, კერძოდ, არ დაიცვა ადვოკატსა და პროცესის მონაწილე სხვა პირთა შორის ურთიერთობის წესები, დაუკავშირდა მოწინააღმდეგე მხარეს

საქმესთან დაკავშირებით, ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით იმის გათვალისწინებით, რომ ნაზიბროლა შაქარიშვილმა არაერთხელ მოუწოდა არ დაკონტაქტებოდა პირადად მას. კოლეგიის შეფასებით, აღნიშნულიდან გამომდინარე ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 10.4 მუხლი.

8.16 დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ბრალის ხარისხზე და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის პროპორციულობაზე. ადვოკატს, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში შესაძლოა დაეკისროს დისციპლინური სახდელი (გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა) ან/და ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 34).

8.17 „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტულის სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-15, 01.04.2015).

8.18 „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17, 22.05.2017).

8.19 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას.

8.20 ეთიკის კომისია ითვალისწინებს იმ გარემოებას რომ დისციპლინური საქმე კომისიის წარმოებაშია 2018 წლის 23 ივლისიდან. შესაბამისად, კომისიას ჰქონდა შესაძლებლობა გამოეკვლია არა მხოლოდ ის გარემოებები და მასალა, რაზეც ნაზიბროლა შაქარიშვილი ამყარებდა თავის პოზიციებს, არამედ თავად ენახა ნატო გოგმაჩაძის დამოკიდებულება პროცესუალური მოწინააღმდეგისადმი. მთელი დისციპლინური წარმოების განმავლობაში, ნატო გოგმაჩაძის დამოკიდებულება ნაზიბროლა შაქარიშვილისადმი იყო ცინიკური, ხისტი და შეურაცხმყოფელი, მაშინ, როდესაც ადვოკატი მიიჩნევს, რომ მისი დამოკიდებულება ეთიკურია. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მხარეები ამჟამად მიმდინარე სასამართლო დავაში არიან და მათ კვლავ ექნებათ კომუნიკაცია. კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატისათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ქმედითი ვერ იქნება: საკუთარი პროფესიული პასუხისმგებლობისადმი ადვოკატ ნატო გოგმაჩაძის დამოკიდებულებიდან გამომდინარე; იმის გათვალისწინებით, რომ დავა განეკუთვნება მგრძნობიარე - საოჯახო დავათა კატეგორიას, ნაზიბროლა შაქარიშვილი არის სამი მცირეწლოვანი

ბავშვის დედა და ადვოკატს მართებს განსაკუთრებული სიფრთხილე მოწყვლადი კატეგორიის მხარესთან ურთიერთობისას; კომისიამ დაადგინა ორი სახის ეთიკური გადაცდომა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.4 და10.4 მუხლები).

8.21 მოცემულ შემთხვევაში, განხილვის კოლეგია ითვალისწინებს ნატო გოგმაჩაძის დისციპლინური გადაცდომის ხასიათს, სიმძიმეს, ასევე ფაქტს იმის თაობაზე, რომ ადვოკატი ნატო გოგმაჩაძე არ არის დისციპლინირებული, რის გამოც საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება ან შეწყვეტა იქნება ზედმეტად მკაცრი, შეუსაბამო და არაპროპორციული სახდელი ჩადენილ გადაცდომასთან.

8.22 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით, და მიიჩნია, რომ ადვოკატ ნატო გოგმაჩაძეს ჩადენილი დისციპლინური გადაცდომების გამო, დისციპლინური სახდელის ფორმად უნდა განესაზღვროს გაფრთხილება.

8.23 კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34.1.„ა“ მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 33-ე, 35–ე მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N097/18 ადვოკატ ნატო გოგმაჩაძის მიმართ /სიითი№5260/ დადგინდეს დისციპლინური გადაცდომა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/